სექტორის ზოგადი მიმოხილვა

სოფლის მეურნეობის სექტორი 2020 წელს

2021 წლის 15 ივნისს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა ყოველწლიური გამოცემა სოფლის მეურნეობის სექტორისათვის – „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020“. გამოცემის თანახმად, სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობასა და თევზჭერაში 2020 წელს მშპ-მა 8.4% შეადგინა, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე 2019 წელს (7.2%), მაგრამ შეესაბამება ბოლო ხუთი წლის ზოგად ტენდენციას (სოფლის მეურნეობის მშპ შეადგენს მშპ-ს საშუალოდ 7-8%). ნომინალურად, სოფლის მეურნეობის მშპ წლის განმავლობაში 13%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურად ზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რეალურად, ცვლილებამ სულ 4% შეადგინა. 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 11%-ით, ბოსტნეულის – 8%-ით, ნესვის – 5%-ით, ერთწლოვანი ბალახების – 4%-ით. რაც შეეხება მზესუმზირის,ლობიოსა და მრავალწლოვანი ბალახებისგან წარმოებას, ეს მაჩვენებლები შემცირდა, შესაბამისად, 27%, 12% და 10%-ით.





ციტრუსის გარდა, ყველა მრავალწლოვანი კულტურის წარმოება ყოველწლიურად გაიზარდა 8-94% -ით 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით. ყველაზე დიდი ზრდა 94% დაფიქსირდა თესლოვანი ხილის (ვაშლი, მსხალი, კომში) შემთხვევაში, ციტრუსის წარმოება კი 11%-ით შემცირდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, მატყლის წარმოება გაიზარდა 6%-ით, კვერცხისა და რძის წარმოება კი 2% და 1%-ით გაიზარდა, ხორცის წარმოება კი უცვლელი დარჩა.





წყარო: საქსტატი, 2021.

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტებს რაც შეეხება, არ შეცვლილა ხორბლის წარმოება, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში 15%-ის ნიშნულზე რჩება. კლების ტენდენცია შეინიშნება სიმინდის წარმოებაში. იგივე შეიძლება ითქვას რძესა და რძის პროდუქტებზე და ბოსტნეულებზე. ბოლო 7 წლის განმავლობაში შეინიშნებოდა ხორცისა და კარტოფილის წარმოების უმნიშვნელო ზრდა და კვერცხის წარმოების უმნიშვნელო შემცირება. ყურძნის, ცხვრისა და თხის ხორცის წარმოების თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები მნიშვნელოვანი ცვალებადობით გამოირჩევა.



წყარო: საქსტატი, 2021.

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

2021 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 4.2%-ით გაიზარდა 2021 წლის თებერვალთან შედარებით. შემდეგ თვეებში, ქვეყანაში ფასების დონე თვიურ ჭრილში სტაბილური იყო. 2021 წლის აპრილში მარტთან შედარებით ფასები 0.9%-ით გაიზარდა, მაშინ როცა შესაბამისი ფასების თვიურმა ცვლილებამ 2021 წლის მაისში 0.7% შეადგინა.

2021 წლის მარტ-მაისის თვეებში სურსათის ფასების თვიური ინფლაცია დაღმავალი ტრენდით გამოირჩეოდა. 2021 წლის მარტში სურსათის ფასების ინდექსით (FPI) დათვლილი სურსათის ფასები 1.5%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო 2021 წლის აპრილსა და მარტში სურსათის ინფლაცია შემცირდა და 0.3%-იან ნიშნულზე დარჩა.





წლიურ ჭრილში, 2021 წლის მარტიდან მაისამდე პერიოდში CPI იზრდებოდა. 2021 წლის მარტსა და აპრილში CPI გაიზარდა 7.2% -ით წლიურ ჭრილში. 2021 წლის მაისში კი წლიურმა ინფლაციამ აღნიშნულ პერიოდში მაქსიმუმს მიაღწია და 7.7% შეადგინა.

2021 წლის მაისში, წლიური ფასები სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე 3.3%-ით გაიზარდა, რაც სამომხმარებლო ფასების მთლიან ინდექსზე 1.07 პროცენტული პუნქტით აისახა. ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ქვეჯგუფებში:



ზეთი და ცხიმი (42.7%↗)

ბოსტნეული (-23.3%↙)

ხილი და ყურძენი (-20.9%↙)

წყარო: საქსტატი, 2021

სურსათის ფასების მიმოხილვა: 2020 წელი

2020 წელს სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები საშუალოდ 10%-ით გაიზარდა. საქსტატის უახლესი გამოცემის „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020-ის“ თანახმად, წლიური ფასები თითქმის ყველა ძირითად სასურსათო პროდუქტზე გაიზარდა. ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები შემდეგი პროდუქტებისთვის: ვაშლი (32%), ხმელი ლობიო (23%), იმერულ ყველი (22%), თევზის კონსერვი (18%), მზესუმზირის ზეთი (17%), მაკარონი (17%) და ხორბლის ფქვილი (17%). ამავდროულად, ფასები შემცირდა კომბოსტოსა (-38%) და ხახვისთვის (-9%). ფასების ზრდის მთავარი მიზეზი იყო ქართული ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ, რადგან საქართველო საკვები პროდუქტების წმინდა იმპორტიორია. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 10.3%-ით გაუფასურდა, 2.82-დან 3.11-მდე (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2021 წ.).

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა და მიწოდების ჯაჭვებში შეფერხებებმა კიდევ უფრო გაზარდა სურსათის ფასები. გარდა ამისა, სურსათით ვაჭრობასთან დაკავშირებით ქვეყნებმა მიიღეს პრევენციული და შემზღუდველი ზომები, რადგან პანდემია მნიშვნელოვან რისკებს უქმნიდა სურსათის უვნებლობას. მაგალითად, საქართველოს მთავარმა სავაჭრო პარტნიორმა, რუსეთმა, შეზღუდა ხორბლის, მარცვლეულისა და მზესუმზირის ზეთის ექსპორტი.

იმპორტიორ ქვეყნებში სურსათის ფასების ზრდის ტენდენცია საქართველოში არსებულ ადგილობრივ ფასებზეც აისახა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელი კარგი იყო ქართული სოფლის მეურნეობისთვის: გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. თუმცა, დარგში არსებული ეს დადებითი ტენდენციები საკმარისი არ აღმოჩნდა სურსათის ფასებზე სავალუტო კურსისა და COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების უარყოფითი გავლენების დასაბალანსებლად.



საერთაშორისო ფასები

2021 წლის მარტ-მაისის თვეებში საერთაშორისო ფასები მზარდი ტრენდით გამოირჩეოდა როგორც თვიურ, ისე წლიურ ჭრილში. 2021 წლის მაისში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შეფასებული სურსათის ფასების ინდექსი (FFPI) 2020 წლის მაისთან შედარებით მკვეთრად, 39.7%-ით გაიზარდა და 2011 წლის სექტემბრის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. მაისში FFPI-ის ზრდა გამოწვეულია მცენარეული ზეთის (124%), შაქრისა (57%) და ბურღულეულის (37%) ფასების მკვეთრი ზრდით. ფასები გაიზარდა რძის პროდუქტებსა (28%) და ხორცზეც (10%). მცენარეულ ზეთზე ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა გამოიწვეული იყო პალმის, სოიოს და რაფსის ზეთის ფასების ზრდით გლობალური იმპორტზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, ხოლო შაქარზე ფასები გაიზარდა მოსავლის აღების შეფერხებისა და ბრაზილიაში (შაქრის უდიდესი ექსპორტიორი მსოფლიოში) მოსავლის შემცირებასთან დაკავშირებული მოლოდინების შედეგად.



წყარო: FAO, 2021

საერთაშორისო ვაჭრობა

წლის ჭრილში, 2021 წლის იანვარ-მაისში მთლიანი ექსპორტი გაიზარდა წლიურად 24%-ით. აგრო ექსპორტის ცვლილება კიდევ უფრო მაღალი იყო და 30% შეადგინა. აგრო ექსპორტმა 2021 წელს მთლიანი ექსპორტის 26% შეადგინა.

რაც შეეხება იმპორტს, მთლიანი იმპორტი გაიზარდა 16%-ით: 3,009 მლნ. აშშ დოლარიდან 2020 წლის იანვარ-მაისში 3,481 მლნ. აშშ დოლარამდე 2021 წლის იანვარ-მაისში. ასევე (თუმცა მხოლოდ 3%-ით) გაიზარდა აგრო იმპორტიც, რომელმაც 2021 წელს მთლიანი იმპორტის 14% შეადგინა.





წყარო: საქსტატი, 2021

ტრადიციულად, ყველაზე მოთხოვნადი საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ახალი ყურძნის ღვინოა. მისმა ექსპორტმა შეადგინა 86 მლნ. აშშ დოლარი 2021 წლის იანვარ-მაისში, რაც მთლიანი აგრო ექსპორტის 22%-ს შეადგენს. სხვა ალკოჰოლური სასმელების ექსპორტმა შეადგინა 57 მლნ. აშშ დოლარი, აგრო ექსპორტის 14%. მინერალური წყლების ექსპორტმა შეადგინა 53 მლნ. აშშ დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში: 13%), თხილის და კაკლის ექსპორტმა – 34 მლნ. აშშ დოლარი (წილი: 8%), ხოლო შაქრის შემცველი წყლების ექსპორტმა – 22 მლნ. აშშ დოლარი (წილი: 5%).



წყარო: საქსტატი, 2021 წ.
შენიშვნა: აგრო ექსპორტი მოიცავს საკვების ექსპორტსაც

პოლიტიკის მიმოხილვა

მთავრობამ დაამტკიცა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ცვლილებები

საქართველოს მთავრობამ „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტში ცვლილებები დაამტკიცა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტს ახალი მიზნობრიობა დაემატა. პროექტის ფარგლებში, შესაძლებელი გახდა განახლებადი ენერგიის წყაროების შეძენა, მონტაჟი და მოწყობა, რაც გარემოზე ზემოქმედების შემცირებას შეუწყობს ხელს; ამავდროულად, გაზრდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების პრაქტიკის დანერგვას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20407

სოფლის მეურნეობაში 7 მილიარდი ლარი დაიხარჯება – მთავრობის 10-წლიანი გეგმა დაამტკიცა

პირველ ივლისს ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ათწლიანი გეგმა. გეგმის თანახმად, მთავრობა და კერძო სექტორი უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობაში 7 მილიარდი ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://tabula.ge/ge/news/669461-soplis-meurneobashi-7-miliardi-lari-daikharjeba?fbclid=IwAR081OR5bYD9YkjIWyW-ur_wSk3P0hcw3BFAhT7Z7DyQK8SbpkyWqptQ4mQ

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის გავითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge